საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

KA011859053419019

საქართველო, თბილისი 0154, აკ. წერეთლის გამზ. № 67ა; ტელ: (+995 32) 2 40 10 10 ცხელი ხაზი:(+995 32)2-40-40-20,
ელ.ფოსტა:online@sda.gov.ge, ვებ-გვერდი:www.psda.gov.ge

25 / ივლისი / 2019 წ. **N 01/219094**

შპს „იუ–ჯი–თი“-ს გენერალურ დირექტორს
ერმილე სულაძეს

ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. #17ა

ბატონო ერმილე,

როგორც თქვენთვის ცნობილია, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და შპს „იუ-ჯი-თი“-ს შორის 2019 წლის 27 ივნისს გაფორმდა ხელშეკრულება #05-24 გამოყენებითი პროგრამული ინტერფეისის (API) მართვის სისტემის მოწოდების შესახებ.

ხელშეკრულების 4.1 პუნქტის შესაბამისად, შესყიდვის ობიექტისას მოწოდებისას თქვენი კომპანიის მიერ უნდა წარმოდგენილიყო შესყიდვის ობიექტის წარმოშობის დამადასტურებელი სერთიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან მისი ექვივალენტი დოკუმენტი (უცხო ენაზე შედგენილი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში თან უნდა დართვოდა ნოტარიალურად დამოწმებული ტექსტის თარგმანი ქართულ ენაზე) დედნის ან ნოტარიალურად დამოწმებული ასლის სახით.

ვინაიდან, შპს „იუ-ჯი-თი“-ს მიერ შესყიდვის ობიექტის წარმოშობის დამადასტურებელი სერთიფიკატის ექვივალენტი დოკუმენტი წარმოდგენილი იქნა 17 დღის ვადაგადაცილებით, 2019 წლის 19 ივლისს, ხელშეკრულების მე-10 მუხლის 10.2 პუნქტის გათვალისწინებით გეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.2% ოდენობით. შესაბამისად, პირგასამტეხლოს საერთო ღირებულება შეადგენს 9623.53 (ცხრა ათას ექვსასოცდასამი ლარი და 53 თეთრი) ლარს.

აღნიშნული პირგასამტეხლოს თანხა დაგექვითებათ #05-24 ხელშეკრულების ფარგლებში ანგარიშსწორებისას.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/